სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

18 ივნისი 2024 წ.

ბრძანება №01-02/90

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ (V დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების, ,,2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის MES7240000421937 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შესასრულებელი შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის (ტარიფის) განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 25 დეკემბრის N01-10/141 ბრძანების, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის დატვირთვის განსაზღვრისა და ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე'' წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 8 სექტემბრის №07-01/42 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის საკონკურსო კომისიების მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 13 ივნისის N01-02/86 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 17 ივნისის №679239 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** (V დონე) **პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევად,** წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად (ვაკანტური სასწავლო მოდულები, საკონტაქტო საათების რაოდენობა, ჩატარების ადგილი).
2. კონკურსში მონაწილეობის მიზნით **კონკურსანტებმა მატერიალური სახით უნდა წარმოადგინონ საკონკურსო დოკუმენტაცია:**
   ა) საკონკურსო განცხადება (შევსებული თანდართული ფორმის - N2 დანართის შესაბამისად);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ფერადი ფოტო (ზომა 3/4);

დ) შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (პროფესიული ან/და უმაღლესი განათლების დიპლომი (ნოტარიული წესით დამოწმებული ასლი) ან/და ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ ან/და წინმსწრები (ფორმალური, არაფორმალური მ.შ უცხოეთში მიღებული) განათლების აღიარების დოკუმენტი (ნოტარიული წესით დამოწმებული ასლი) ან/და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სწავლების მიზნებისათვის ბსუ-ს მიერ ჩატარებულ ტრენინგში ან/და გარე პროვაიდერების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები ან/და დასწრების ფურცლები (ასლი/ასლები).

3. **კონკურსის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:**

ა) **საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2024 წლის 01-05 ივლისი,** 10:00 სთ-დან 17:00 საათამდე, (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N15, მე-6 კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N303);

ბ) **კონკურსის ჩატარება** (დოკუმენტაციის შემოწმება, კონკურსანტებთან გასაუბრება/საჭიროების შემთხვევაში საცდელი თეორიული ან პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება, ვაკანტური საათების შესასრულებელი სამუშაო დატვირთვის შესაბამისად) – **2024 წლის 10-11 ივლისს** (კონკურსანტთა სია და გასაუბრების (საჭიროების შემთხვევაში საცდელი თეორიული ან პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება, შესასრულებელი დატვირთვის სახის შესაბამისად) <u>ჩატარების დრო და ადგილი</u> <u>კონკურსანტებს ეცნობოს</u> გასაუბრების/საცდელი მეცადინეობის ჩატარებამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე, ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის (კონკურსების ველის) მეშვეობით (გაიგზავნოს ინფორმაცია გამოქვეყნებისათვის ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ. ასევე დასაშვებია კონკურსანტის CV-ში მითითებულ სატელეფონო ნომერზე შეტყობინება ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ინფორმირება);

გ) **არაუგვიანეს 2024 წლის 17 ივლისი** - საკონკურსო კომისიების მიერ **საკონკურსო შედეგების საჯარო გამოცხადება** ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის და ცენტრის საინფორმაციო დაფის მეშვეობით (უზრუნველყოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა);

დ) **კონკურსანტთა სააპელაციო საჩივრების** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **მიღება** ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით - **2024 წლის 22 ივლისი,** 10:00 საათიდან 15:00 საათამდე;

ე) კონკურსანტთა სააპელაციო საჩივრების (პრეტენზიების) განხილვა და **საბოლოო შედეგების გამოცხადება** ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით - **არაუგვიანეს 2024 წლის 25 ივლისი** (გაიგზავნოს ინფორმაცია გამოქვეყნებისათვის ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ. ასევე ეცნობოს კონკურსანტს, CV-ში მითითებულ სატელეფონო ნომერზე ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

4. კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის შრომითი დატვირთვის შესახებ ბსუ-ს რექტორის აქტის გამოცემის შემდეგ გაფორმდეს მასთან შრომითი ხელშეკრულება. შრომითი ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს მოწვეული პირის სამუშაო დატვირთვის ხანგრძლივობის შესაბამისად (**დასაშვებია:** ა) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი არ იქნეს მოწვეული შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად, თუკი არ შედგა პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა მიზეზით; ბ) კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტისათვის

შეთავაზებული იქნეს შესაბამისი მიმართულებით სხვა სასწავლო მოდულები, გარდა კონკურსის გამოცხადების აქტში მითითებული მოდულებისა.
წინამდებარე ბრძანების საფუძველზე შერჩეული პერსონალის შრომა ანაზღაურდება საათობრივად, სამუშაო დატვირთვის ბრძანებისა და შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 25 დეკემბრის N01-10/141 ბრძანებით განსაზღვრული ტარიფით.

5. **კონკურსის შედეგად დასაქმებული ვალდებულია** შრომითი დატვირთვის გათვალისწინებით შეასრულოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ფუნქციები, მათ შორის:

ა) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული ნაშრომის შეფასება, სტუდენტისთვის შეფასების შედეგების გაცნობა და უკუკავშირი განმავითარებელი შეფასების მიზნით;

ბ) პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტების შენახვა და მოდულის დასრულებისთანავე ცენტრისათვის გადაცემა;

გ) პროფესიულ სტუდენტებისთვის კონსულტაციისა და მხარდაჭერის გაწევა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით;

დ) შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ორგანიზება/ჩატარებაში მონაწილეობა (საჭიროების შემთხვევაში);

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა, მათ შორის ბსუ-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-კურსებზე და შეხვედრებზე დასწრება;

ზ) სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების თუ მართვის კოლეგიალური ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა;

თ) შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების შესრულება (თუკი ასეთს ითვალისწინებს);

ი) მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ცენტრისა და ბსუ-ს ადმინისტრაციის მითითებების/სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულება, რაც გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან, შრომითი ხელშეკრულებიდან, ბსუ-ს შინაგანაწესიდან (შრომითი ხელშეკრულების ნაწილია) და ბსუ-ს სხვა რეგულაციებიდან, რომელიც განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდის ველებში (ბსუ-ს შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი" და სხვა).

6. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„ბუღალტრული აღრიცხვა"** (V დონე) **პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის კონკურსის ჩასატარებლად** შეიქმნას **საკონკურსო და სააპელაციო კომისიები,** წინამდებარე ბრძანების <u>N3 დანართის</u> <u>შესაბამისად</u>.

7. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრს დაევალოს:**

ა) წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის (შემდეგში წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის) მომზადება და ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო

ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება, ასევე კონკურსანტების ინფორმირება, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების მუშაობის ორგანიზაციული მხარდაჭერა);

ბ) უზრუნველყოს გამარჯვებული კონკურსანტების შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა და მოსაწვევი პერსონალის დოკუმენტაციისა და საკონკურსო მასალების საქმისწარმოების სამსახურისათვის გადაცემა.

8. **ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდის ველებში** „კონკურსები“ და „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“ - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა, ხოლო საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) - ამ სამსახურთან არსებულ **საინფორმაციო დაფაზე** და ცენტრის საინფორმაციო დაფაზე.

9. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (თამარ სირაძემ).

10. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ბსუ-ს ფაკულტეტებს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30).

რექტორი, პროფესორი *მერაბ ხალვაში*

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ (V დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის ----18---- ივნისის N----01-02/90----ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ (V დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის *მიერ შესასრულებელი ვაკანტური მოდულები*

(განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქუჩა N15; VI კორპუსი)

№	მოდულის სარეგისტრაციო კოდი და სახელწოდება	შესასრულებელი საკონტაქტო საათების რაოდენობა	სამუშაოს შესრულების პერიოდი
1	0411405 ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება (დანართი 1 - განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	47	2024 წლის 16 სექტემბერი - 2024 წლის 30 ნოემბერი
2	0411404 ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები (დანართი 2- განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	102	2024 წლის 16 სექტემბერი - 2025 წლის 01 თებერვალი
3	0411410 კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა (დანართი 3- განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	89	2025 წლის 24 თებერვალი - 2025 წლის 14 ივნისი
4	0411415 სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები (დანართი 4- განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	69	2024 წლის 02 დეკემბერი - 2025 წლის 22 თებერვალი
5	0411413 სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა (დანართი 5 - განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	156	2025 წლის 24 თებერვალი - 2025 წლის 05 ივლისი
6	**0411414 საგადასახადო დეკლარირება** (დანართი 6- განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	69	2024 წლის 22 დეკემბერი - 2025 წლის 22 თებერვალი
7	0411409 ინვენტარიზაცია (დანართი 7 - განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	33	2025 წლის 24 თებერვალი - 2025 წლის 12 აპრილი
8	0411402 ბიზნეს ინგლისური (დანართი 8 - განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	106	2025 წლის 24 თებერვალი - 2025 წლის 14 ივნისი
9	0411401 აუდიტის საფუძვლები (დანართი 9- განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	39	2025 წლის 08 დეკემბერი - 2026 წლის 14 თებერვალი
10	0410705 Ms Excel (დანართი 10- განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	123	2025 წლის 24 თებერვალი - 2025 წლის 26 ივლისი
11	0411411 მმართველობითი აღრიცხვა (დანართი 11- განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	129	2025 წლის 23 ივნისი - 2026 წლის 14 თებერვალი
12	0411403 ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით (დანართი 12 - განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	227	2025 წლის 21 ივლისი - 2026 წლის 14 თებერვალი
13	0411406 ეკონომიკური ანალიზი (დანართი 13 - განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	89	2025 წლის 23 ივნისი - 2025 წლის 06 დეკემბერი
14	0411407 ფინანსური ანგარიშგების შედგენა (დანართი 14 - განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე)	131	2025 წლის 07 ივლისი - 2026 წლის 14 თებერვალი

„ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ (V დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის ----18---- ივნისის N01-02/90 ბრძანების

დანართი 2

(კონკურსანტის განცხადების ფორმა)

ბსუ-ს რექტორს

.....

(კონკურსანტის სახელი, გვარი)

საკონკურსო განცხადება

*მსურს მონაწილეობა მივიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ-ს) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„ბუღალტრული აღრიცხვა“*** (V დონე) *მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევ ღია კონკურსში:*

კონკურსანტის საკონტაქტო ინფორმაცია:	
კონკურსანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
ფაქტობრივი/რეგისტრაციის მისამართი	*ფაქტობრივი:* *რეგისტრაციის:*
ელექტრონული ფოსტა	
მობილური ტელეფონი	
პროფესიული მოდული, რომელიც შეიძლება წარვმართო	
0411405 ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება	○
0411404 ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	○
0411410 კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	○
0411415 სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები	○
0411413 სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	○
0411414 საგადასახადო დეკლარირება	○
0411409 ინვენტარიზაცია	○

0411402 ბიზნეს ინგლისური	○
0411401 აუდიტის საფუძვლები	○
0410705 Ms Excel	○
0411411 მმართველობითი აღრიცხვა	○
0411403 ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით	○
0411406 ეკონომიკური ანალიზი	○
0411407 ფინანსური ანგარიშგების შედგენა	○

გავეცანი და ვეთანხმები: *გსუ-ს წესდებას, გსუ-ს შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, ,,გსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს", ,,გსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესს" და კონკურსის გამოცხადების შესახებ გრძანებაში აღნიშნულ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ გსუ-ს სამართლებრივ აქტებს.*

თანახმა ვარ ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დამუშავდეს ჩემი საკონკურსო განაცხადი (პერსონალური ინფორმაცია).

განცხადებას თან ერთვის:

1. პირადობის მოწმობის (ან პასპორტი) ასლი - .....

2.. ფერადი ფოტოსურათი (3/4) - .....

3. CV (შევსებული უახლესი ინფორმაციით და ხელმოწერილი ყოველ გვერდზე) - .....

4. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ბაკალავრის, მაგისტრის, დოქტორის) სათანადო წესით დამოწმებული ასლი - - .....

*5. **სხვა დოკუმენტაცია:***

5.1. ....

5.2. ....

5.3. ....

5.4. ....

5.5. ....

კონკურსანტის ხელმოწერა: .....

განაცხადის წარმოდგენის თარიღი:

,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ (V დონე) მოსაწვევი პროფესიული განათლების მასწავლებელთა პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის -----18-- ივნისის N-01-02/90----- ----ბრძანების

დანართი 3

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა (V დონე)“ სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოსაწვევი პერსონალის შესარჩევი კონკურსის

საკონკურსო და სააპელაციო კომისიები

საკონკურსო კომისია:

1. **თამარ სირაძე** - რექტორის მოადგილე, თავმჯდომარე;
2. **მადონა მიქელაძე** - ბსუ - ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, წევრი;
3. **ამირან შარაძე** - ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი, წევრი;
4. **თამთა ბერიძე** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ ხელმძღვანელი, წევრი;
5. **მამუკა გოგელია** - ბსუ- ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, მდივანი.

სააპელაციო კომისია:

1. **ჯილდა აბაშიძე** - ბსუ - ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი, თავმჯდომარე;
2. **ნათია ტაკიძე** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ განმახორციელებელი პერსონალი, წევრი;
3. **ლელა ვერძაძე** - ბსუ - ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სპეციალისტი, მდივანი.